შოთა რუსთაველის პროსპექტი №18

(წინასაპროექტო ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა)

საკვლევი ობიექტი მდებარეობს თბილისის ისტორიულ გარეთუნაბში - რუსთაველის (ყოფილი გოლოვინის) პროსპექტის №18-ში მდებარე სამსართულიანი შენობის პირველ სართულზე.



რუსთაველის პროსპექტი. 1950-იანი წლები.

გარეთუბნის ტერიტორიის აქტიური ათვისება 1830-40-იანი წლებდან დაიწყო. განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა გოლოვინის პროსპექტი და მისი მიმდებარე კვარტლები მეფისნაცვალ გრაფ მიხეილ ვორონცოვის (1844-1854) დროს. კვარტალი, რომელიც მდებარეობს რუსთაველის პროსპექტს, ბესიკის, ლაღიძის და გრიბოედოვის ქუჩებს შორის, 1840-50-იან წლებში გაშენდა. XIX საუკუნის ბოლოდან აღნიშნულ კვარტალში დაიწყო ძველი სახლების აღება და მათ ადგილას ახალი, უფრო დიდი – სახლების მშენებლობა.

1860–80-იანი წლებიდან გოლოვინის პროსპექტი თბილისის კულტურულ-ადმინისტრაციულ ცენტრად ჩამოყალიბდა.

საპროექტო შენობის მიმდებარედ თავისი მასშტაბით და ისტორიულ-მხატვრული ღირებულებით გამოირჩევა რუსთაველის პროსპექტის №16 – ყოფილი „კრუჟოკის“ შენობა (შემდგომში ოფიცერთა სახლი), რომელიც ნეოკლასიციზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია თბილისში (პროექტის ავტორი იყო არქიტექტორი დავით ჩისლიევი. „კრუჟოკის“ შენობის რეკონსტრუქცია 1913 წელს დაიწყო და 1916 წელს დასრულდა).

რუსთაველის გამხ. №20, რომელიც მარჯვნიდან ესაზღვრება საკვლევ შენობას 1880-იან წლებშია აგებული, მაგრამ მას 1929 წელს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, რომლის შედეგადაც პროსპექტის მხარეს მიქცეულმა ფასადმა ყველა დეკორატიული ელემენტი დაკარგა. სამსართულიანმა შენობამ რუსთაველის პროსპექტისა და ლაღიძის ქუჩის კუთხეში (რუსთაველის პრ. №22) დღევანდელი სახე საბჭოთა პერიოდში - 1940-იან წლებში მიიღო.



რუსთაველის პროსპექტი №18-22 – 2013 წლის ფოტო.

საკვლევი შენობა 1900-იან წლებით თარიღდება და “მოდერნის” სტილის არქიტექტურის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს. სამსართულიანი შენობის მთავარი ფასადის კომპოზიცია მკაცრად სიმეტრიულია. გამოკვეთილია,

როგორც ჰორიზონტალური დანაწევრება, რომლის პირველი სართული პროსპექტის წითელ ხაზს გასდევს და მთლიანად ვიტრინებით არის გახსნილი. ვერტიკალურ აქცენტებს ქმნის ფასადზე წრიულად გამოსული მსუბუქი ერკერები და პილასტრისებრი დეკორატიული ჩანართები.



რუსთაველის პროსპექტი №18 – 2013 წლის ფოტო.

დახვეწილი არქიტექტურული დეკორისა და ნაძერწი სამკაულების გამეორებით მიიღება შენობის საფასადო რიტმი. ფასადის კიდეები და ცენტრი მსუბუქი, რიზალიტისებრი აქცენტებით არის გამოყოფილი. ისინი მეორე და მესამე სართულებზე სამ-სამ ფანჯარას მოიცავს და დეკორატიული პარაპეტებით არის დასრულებული. შუაკედლისებში ფასადი მცენარეული ორნამენტით და არქიტექტურული პროფილებით არის გაფორმებული. ფასადის კომპოზიციაში მაორგანიზებელი როლი აკისრია რიზალიტებს და სხვადასხვა ზომის ლითონის აჟურულ აივნებს. ქუჩისპირა ფასადი ნალესობით არის დაფარული. ფასადების

სიბრტყე ამჟამად მონაცრისფრო-მომწვანო, ხოლო არქიტექტურული დეტალები იმავე ტონალობის, თუმცა გაცილებით ღია ფრად არის შეღებილი.



რუსთაველის პროსპექტი №18 – 2020 წლის ფოტო.

პირველი სართულის არქიტექტურული გადაწყვეტა არსებითად განსხვავდება მეორე და მესამე სართულებისაგან. ის თავიდანვე მაღაზიებზე გასაქირავებლად იყო გამიზნული, რამაც განსაზღვრა მისი სახე – კედელი ფართო სწორკუთხა ვიტრინებით იხსნება პროსპექტისაკენ. ვიტრინებს შორის კედლის ზედაპირები სადაა. ვიტრინები სახეცვლილი იყო საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებში. 2007-2008 წლებში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების დროს გამოიცვალა ღიობების ჩარჩოები, რის შედეგადაც პირველი სართული უფრო მოწესრიგდა. შენობის პირველი სართული ამჟამადაც კომერციულ დაწესებულებებს უკავია. მათგან შენობის მარცხენა ნაწილში მდებარე სამი ვიტრინა დიდხანს ეკავა “ვითიბი” ბანკს. ამჟამად განაპირა ვიტრინა, რომელიც

უშუალოდ ესაზღვრება “ოფიცერთა სახლის” შენობას, მაღაზია “All@All”-ის ფილიალს ეკუთვნის. საჭიროებიდან გამომდინარე ერთიან ვიტრინაში დამოუკიდებელი კარი მოეწყო და საპროექტო წინადადებით განზრახულია ვიტრინის თავზე სარეკლამო ბანერის განთავსება.

დასკვნა და რეკომენდაციები

შენობა წარმოადგენს თბილისისათვის ღირებულ არქიტექტურულ ძეგლს. ის კარგად ასახავს თავისი ეპოქის მხატვრულ გემოვნებას და მიმდებარე შენობებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს რუსთაველის პროსპექტის სახის შექმნაში. შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მატარებელია (სააღრიცხვო ბარათი №010307165).



რუსთაველის პროსპ. №18. საპროექტო სეგმენტი და მიმდებარე ვიტრინები.

საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია შენობის მთავარი ფასადის პირველ სართულზე მდებარე მაღაზია “All@All”-ის ფილიალის ვიტრინის ზღუდარის ვიწრო სიბრტყეზე სარეკლამო ლოგოს განთავსება. წინადადება არ გულისხმობს ფასადის არქიტექტურულ სახეში ჩარევას.

ამგვარი ჩარევა დასაშვებია – რეკლამის განთავსება გავლენას არ იქონიებს შენობის მხატვრულ-არქიტექტურულ სახეზე და არ დააზიანებს მის ღირებულ ელემენტებს, თუ ის ვიტრინის ზღუდარზე - კედლის ვიწრო არეში განთავსდება და გათვალისწინებულ იქნება დეკორით შემკული ერკერი, რომლის ელემენტი შემოჭრილია ვიტრინის ზღუდარის არეში – ერკერის დეკორი ხედშეუხებელი უნდა დარჩეს და რეკლამით არ გადაიფაროს.

სარეკლამო ნიშნების დიზაინი უნდა იყოს სადა და შეესაბამებოდეს კედლის მასშტაბს.

ხელოვნებათმცოდნე
მარინა ხატიაშვილი
30.01.2020